ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

ნინო გულეიშვილი

სტუდენტების დამოკიდებულება სექსუალური განათლების მიმართ

(თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა მაგალითზე)

ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი :

კახა ქეცბაია

ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2023

ანოტაცია

სექსუალური განათლება ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია, როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში. ჩვენს ქვეყანაში ხშირად განიხილება თუ როგორ მოხდეს სასკოლო სივრცეში სექსუალური განათლების ინტეგრირება. ამ განხილვამ საზოგადოება ორ ნაწილად გახლიჩა. ნაწილი ემხრობა მის დანერგვას სასწავლო პროგრამაში, რადგან თვლის რომ, მიღებული ცოდნა დაიცავს მოზარდებს ძალადობისგან, უკეთ გააცნობს საკუთარ სხეულსა და ფიზიოლოგიას, ხოლო მეორე ნაწილი კი კატეგორიულად წინააღმდეგია, რადგან მიიჩნევს რომ მსგავსი სპეცგანათლება მოზარდებს გარყვნილებისკენ უბიძგებს.

ნაშრომი მიზნად ისახავს ახალგაზრდების დამოკიდებულების კვლევას, სექსუალური განათლების მიმართ სკოლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მაგალითზე. ნაშრომში ძირითადი აქცენტი კეთდება სექსუალური განათლების როლზე მოზარდებში. განხილულია საქართველოსა და სხვა ქვეყნების გამოცდილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კვლევა ჩატარდა თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდის ფარგლებში.

ნაშრომის ავტორმა, მის მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევების საფუძველზე ჩამოაყალიბა დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც აქტუალურია დღევანდელი ქართული საზოგადოების, მოზარდების და სექსუალური განათლების საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი ასაკის პირისათვის.

Annotation

Sex education is one of the most popular and urgent issues both in the world and in Georgia. In our country, it is often discussed hot to integrate sexual education into the educational process. This discussion split society into two parts. First part favors integrating sex ed in education program, because it is considered that gained knowledge will protect teenagers from vilence. On the contrary other part is strictly agianst the idea, because from them this kind of education can be the cause of teenagers leading to depravity.

The aim of this research is to study the attitude of sociology students of Tbilisi State University, towards sexual education in schools. This undergraduate work, mainly focuses on the role of sexual education in adolescents. In this work, the experience of Georgia and other countries, is discussed. The research was conducted using qualitative sociological research method.

The autor of the paper, Nino Guleishvili, based on the conducted research, formed conclusions and recommendations for Georgian society, for adolescents and people of any age, who is interested in the issue of sexual education.

სარჩევი:

ანოტაცია.....

შესავალი 5

ლიტერატურის მიმოხილვა.....7

თავი 1. სექსუალური განათლება: პრობლემები, მიდგომები, ხედვები.....9

§1. სექსუალური განათლების არსი.....9

§2. სექსუალური განათლება, ქართული და უცხოური გამოცდილება.....11

თავი 2. სტუდენტთა დამოკიდებულება სექსუალური განათლების მიმართ (სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით).....14

§1. კვლევის დიზაინი.....14

§2. კვლევის შედეგები.....17

დასკვნა.....31

რეკომენდაციები.....32

ბიბლიოგრაფია.....34

შესავალი

სქესობრივი განათლება, ასევე ცნობილი როგორც სექსუალური განათლება, არის ინსტრუქცია ადამიანის სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, მათ შორის ადამიანის სექსუალური ანატომია, სექსუალური აქტივობა, სექსუალური რეპროდუქცია, უსაფრთხო სექსი და ჩასახვის კონტროლი, სექსუალური ჯანმრთელობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ემოციური ურთიერთობები და პასუხისმგებლობები, რეპროდუქციული უფლებები. სექსუალური განათლება, რომელიც მოიცავს ყველა ამ საკითხს, ცნობილია როგორც ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება და ხშირად ეწინააღმდეგება მხოლოდ აბსტინენციურ სექსუალურ განათლებას, რომელიც მხოლოდ სექსუალურ აბსტინენციაზეა ორიენტირებული. სექსუალური განათლება შეიძლება მიეწოდოს სასკოლო პროგრამების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის კამპანიების, მშობლების ან მომვლელების მიერ. ბევრი ქვეყანა თვლის, რომ მომგებიანია სექსუალური განათლების მიწოდება სქესობრივი მომწიფების ასაკამდე ან დასაწყისში, ჯანმრთელობის უზრუნველყოფის გამო, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების შეზღუდვისა და არასრულწლოვანების ორსულობის ან არასასურველი ორსულობის თავიდან აცილების მიზნით.

სექსუალური განათლება ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია საკითხია საქართველოში. იგი ყოველთვის იწვევს საზოგადოებაში ვნებათაღელვასა და მორალურ ჭმუნვებს. საკითხი ლამის ეროვნული ღირსების ხაზზე გადის და ამიტომაც მუდამ აქტუალურია. სქესობრივ განათლებას, ხშირად სექსუალურ განათლებას უწოდებენ და ყველამ ვიცით, რომ პატრარქალურ სისტემაში სექსი გარყვნილებას და სიბინძურესთან ასოცირდება. რას გულისხმობს სქესობრივი განათლება? სექსის, როგორც აქტის აღწერას ანატომიური დეტალებით თუ ქალის და კაცის ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებების შესწავლა-ანალიზს, რაც შემდეგომში სწორად აწყობილი ურთიერთობების, ასევე რეპროდუქციული ჯანმრთელობის საფუძველი გახდება.

კვლევის მიზანს წარმოადგენს დავადგინო, თუ რა დამოკიდებულება აქვთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის - ბაკალავრიატის სტუდენტებს, სკოლებში სექსუალური განათლების სწავლების მიმართ.

კვლევის ამოცანებია:

1. დავადგინოთ, რა ინფორმაციას ფლობენ სტუდენტები, სექსუალურ განათლებასა და ჯანმრთელობის შესახებ.
2. გავაანალიზოთ, რამდენად სრულფასოვანი იყო სექსუალური განათლება, რაც სკოლამ მისცა.
3. რა დაბრკოლებებს და პრობლემების წინაშე აღმოჩდნენ სტუდენტები სკოლის დამთავრების შემდეგ , არსებულ საკითხთან დაკავშირებით.
4. დავადგინოთ, რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის, სკოლებში არსებობდეს მაღალი ხარისხის სექსუალური განათლება.

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები: სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფის მეთოდი. სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით გამოკითხულ იქნენ დარგის სპეციალისტ-ფსიქოლოგები, ხოლო ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებმა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 32 სტუდენტმა, ფსიქოლოგების შერჩევა განხორციელდა მათი სტატუსისა და საქმიანობის სახის საფუძველზე. ხოლო სტუდენტების შერჩევა განხორციელდა შესაბამისი ინტერნეტ რესურსების გამოყენებით.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა სპეციალური საინფორმაციო რესურსები, მათ შორის: ინტერნეტ წყაროები და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სხვადასხვა ტიპის კვლევის შედეგები.

ლიტერატურის მიმოხილვა

სექსუალური განათლება არის სქესობრივი ცოდნის შეძენა და სწორი შეხედულებების ჩამოყალიბება ადამიანის სექსუალობის შესახებ. ადამიანის სექსუალობა ყოველთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თემა იყო კაცობრიბისთვის, იგი მოისაზრებს ადამიანის ბიოლოგიურ, ეროტიკულ, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ემოციურ, სოციალურ და სულიერი შეგრძნებების ერთობლიობას.

ამის ნათელი მაგალითია „ კამასუტრა“ უძველესი დროის ინდური ტექსტები ადამიანის სექსუალური და ემოციური კმაყოფილების შესახებ, რომელიც დაიწერა ჯერ კიდევ ძვ.წ 400-300 წლებში. სექსუალური ქცევების ფართო სპექტრია ასევე ნაჩვენები ანტიკურ-ბერძნულ და რომაულ ლიტერატურასა და ხელოვენბაში. მოგვიანებით კი ქრისტიანულმა ეკლესიამ ძალიან დიდი გავლენა იქონია დასავლურ კულტურებში სექსუალობის აღქმაზე და ზოგადად სექსუალური საკითხების შესახებ შექმნილ ლიტერატურაზე. თანამედროვე მსოფლიოში კი აქტიურად ხდება სექსუალური განათლების მნიშვნელობის განსაზღვა საზოგადოებისთვის და ცნობერების ამაღლებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, რადგან სწორედ ადრეულ ასაკში, როდესაც ადამიანს უყალიბდება შეხედულებები სექსუალური საკითხების მიმართ, მნიშვნელოვანია იგი ფლობდეს სწორ და ამომწურავ ინფორმაციას. მაშასადამე განათლების გავლენას ახალგაზრდების ინფორმირებულობაზე სექსუალური ასპექტების მხრივ მოწმობს არაერთი ჩატარებული კვლევა თუ ექსპერიმენტი, რომელსაც თემის მიმდინარეობისას უფრო კონკრეტულად განვიხილავ.

უშუალოდ სექსუალური განათლება დღესდღეობით აქტიურად განიხილება ევროკავშირის მოწინავე სახელმწიფოებში და ის ევროკავშირის კომპეტენციას ექვემდებარება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისთვის. ამ ფარგლებში ევროკავშირი ახდენს არაპირდაპირ გავლენას იმაზე, თუ როგორ იქმნება სექსუალური განათლების პროგრამები წევრი სახელმწიფოს დონეზე, განსაკუთრებით აივ/შიდსის გადაცემის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკით და ევროპული პროექტებით. სექსუალური განათლების ჩამოყალიბება სკოლებში, მისი განხორციელება და მართვა სასწავლო გეგმები სრულად ექვემდებარება წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობას.

მაგალითად საქართველოში კი ჯერჯერობით მიმდინარეობს განხილვა და დაგეგმილია უახლოეს მომავალში დაინერგოს სპეციალური პროგრამები სექსუალური განათლების სწავლებისთვის სკოლებში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უცხოური კვლევა სექსუალური განათლების შესახებ არის ლუისა ალენის (2010) ჩატარებული კვლევა „სექსუალურ განათლებასა და ქცევას შორის სივრცის შევსება“, რომელშიც სექსუალური განათლების მნიშვნელობის ასპექტებზე გამახვილდა ყურადღება. ეს კვლევა თავის მხრივ მოიცავდა საკითხებს სექსუალური გაანთლების აუცილებლობაზე, სქესობრივ უფლებებზე , სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების რისკებზე ჯანმრთელობისთვის , ამ კვლევის საფუძველზე , სადაც გამოკითხულ იქნა ქალებიც და მამაკაცებიც, დაასკვნეს, რომ სკოლაში მიღებული სექსუალური განათლება არის ყველაზე მნიშვნელოვანი ბავშვთათვის, მომავალში მნიშვნელოვანი პრობლემების თავიდან არიდებისათვის. ამ კვლევაში კი ინტერნეტი, როგორც ამ თემაზე ინორმაციის მიღების საშუალება, მიჩნეულია ყველაზე ბოლო ვარიანტად.

ასევე ამ კვლევაში ყურადღება გამახვილებულია სექსუალური უფლებების მნიშვნელობაზე, რომელიც მოიაზრებს კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლებებს ადამიანთა სექსუალური თავისუფლების შესახებ. შესაბამისად ბავშვები, რომლებიც ადრეული ასაკიდან არ იქნებიან ინფორმირებული სექსუალური უფლებების არსებობის შესახებ, იზრდება ახალგაზრდებში ძალადობისა და სექსუალური შევიწროების რისკები.

ფულისმა და მაკკაბიმ (Foulis & MaCabe, 1997) ჩაატარეს კვლევა „ სექსუალური ძალადობა: ფაქტორები, რომელთაც გავლენა აქვთ დამოკიდებულებებსა და აღქმაზე“, რომელიც მოიცავდა ექსპერიმენტს, სადაც მონაწილეობას იღებდა სამი განსხვავებული ჯგუფი: ბავშვები, უნივერსიტეტის სტუდენტები და დასაქმებული ზრდარულები. კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ ბავშვები, რომელთაც არ ჰქონდათ სექსუალური განათლება უფრო მეტად ეყრდნობოდნენ გენდერულ როლთა სტერეოტიპებს და სექსუალური შევიწროების მიმართ მაღალი მიმღებლობა გააჩნიათ. (Foulis & MaCabe, 1997).

თავი 1. სექსუალური განათლება: პრობლემები, მიდგომები, ხედვები.

§1. სექსუალური განათლების არსი

სექსუალური განათლება მოიაზრებს სექსუალობის შემეცნებითი, ემოციური, სოციალური, ინტერაქტიული ასპექტების შესწავლას. ეს არის ინფორმაციის მიწოდება, სხეულის განვითარების, სქესის, სექსუალობისა და ურთიერთობების შესახებ, რათა დაეხმაროს ახალგაზრდებს მიიღონ ინფორმირებული და გაცნობიერებული გადაწყვეტილებები თავიანთ სექსუალურ ცხოვრებაში.

სექსუალური განათლება მიზნად ისახავს ბავშვებისა და ახალგაზრდების უნარის განვითარებას, გააკეთონ გაცნობიერებული და ჯანსაღი არჩევანი. როცა ბავშვები იზრდებიან უწევთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტეილებების მიღება ურთერთობების, სექსუალობისა და სექსუალური ქცევის შესახებ. სწორედ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს შეუძლიათ ძალიან დიდი გავლენა მოახდინოს ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

ძალიან ბევრი ახალგაზრდა იღებს მცდარ ინფორმაციებს სექსუალური ურთიერთობების შესახებ. ამან გამოიწვია ახალგაზრდების მზარდი მოთხოვნა სანდო ინფორმაციაზე, რომელიც მოამზადებს მათ უსაფრთხო პროდუქტიული და სრულფასოვანი ცხოვრებისათვის. მოზარდებს აქვთ უფლება მიიღონ ადეკვატური ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მათი განვითარებისთის. სახელმწიფო და საზოგადოება ვალდებულია, უზრუნველყოს ახალგაზრდები, როგორც სკოლაში ისე მის გარეთ, ზუსტი და სათანადო ინფორმაციით, იმის შესახებ თუ როგორ უნდა დაიცვან თავიანთი ჯანმრთელობა, ჰქონდეთ პროდუქტიული და უსაფრთხო ცხოვრება, ისეთ სამყაროში სადაც სექსუალური ძალადობა, გენდერული უთანასწორობა, არდეული და გაუთვალისწინებელი ორსულობა, აივ და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექიები(სგგი) ჯერ კიდევ არსებობს. შესაბამისი სექსუალური განათლების ნაკლებობამ შეიძლება ბავშვები დაუცველები გახადოს მავნე სექსუალური ქცევებისა და სექსუალური ექსპლუატაციის მიმართ.

CSE- მოსწავლეებზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებით, გადამწყვეტ როლს თამაშობს ბავშვებისა და ახალგაზრდების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ის მოსწავლეებს აძლევს ასაკის შესაბამისს და ეტაპობრივ განათლებას ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, ურთიერთობის, რეპროდუქციის, სექსუალური ქცევის რისკებისა და ჯანმრთელობის პრევენციის შესახებ. პოზიტიური მიდგომით ხაზს უსვამს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა პატივისცემა, დისკრიმინაციის აკრძალვა, თანასწორობა, თანაგრძნობა, პასუხისმგებლობა და ურთიერთგაგება.

სექსუალური განათლების გავლენა:

- სექსუალუალურ განათლებას აქვს დადებითი ეფექტი, რომელიც მოიცავს ახალგაზრდების ცოდნის გაზრდას, მათი დამოკიდებულების გაუმჯობესებას სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ქცევასთან დაკავშირებით.
- სექსუალური განათლება არ ზრდის, სექსუალურ აქტივობას ან სგგი/აივ ინფექციებს, ის ასწავლის აბსტინენციას, როგორც 100 პროცენტით ეფექტურ მეთოდს, აივ, სგგ-ის და არასასურველი ორსულობის პრევენციისთვის. სექსუალურმა განათლების პროგრამებმა შეამცირა დაუცველი სექსუალური აქტების რაოდენობა ახალგაზრდებში.
- კარგი სექსუალური განათლება ასწავლის ახალგაზრდებს, თუ რას წარმოადგენს სექსუალური ძალადობა და როგორ დაიცვან თავი მისგან.
- სტუდენტების არაჯანსაღ სექსუალურ ცხოვრებას, შეუძლია გავლენა მოახდინოს აკადემიურ ხარისხზეც. დავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრმა(CDC) დაადგინა, რომ სტუდენტები, რომლებიც თავიანთ ჯანმრთელობას რისკის ქვეშ არ აყენებენ, აქვთ უფრო მაღალი აკადემიური შეფასება,ვიდრე იმ სტუდენტებს, რომლებიც ეწევიან ჯანმრთელობისთვის სარისკო ქცევას. ჯანმრთელობასთან

დაკავშირებულმა პრობლემებმა და არასასურველმა ორსულობამ, შეიძლება ხელი შეუწყოს მოსწავლის სასწავლო პროცესის შეფერხებას ან მიტოვებას.

§2. სექსუალური განათლება ქართული და უცხოური გამოცდილება

სექსუალური განათლება სავალდებულოა ევროკავშირის უმეტეს წევრ სახელმწიფოში, გარდა ბულგარეთის, კვიპროსის, იტალიის, ლიტვის, პოლონეთისა და რუმინეთისა. 1968 წლიდან სექსუალური განათლება სავალდებულო გახდა გერმანიის სკოლებში, 1970 წელს დანიაში, ფინეთსა და ავსტრიაში, 1998 წელს კი საფრანგეთში.

1955 წელს შვედეთმა შექმნა ისტორია, როდესაც ის გახდა პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელმაც სექსუალური და გენდერული განათლება სავალდებულო გახადა სკოლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით. შვედი მოსწავლეები სექსუალურ განათლებას იწყებენ მეხუთე კლასიდან (11 წლის ასაკიდან), ბუპერტეტისა და სხეულის განვითარების საფუძვლებით, რომელიც გრძელდება მერვე კლასამდე. მერვე კლასში სექსუალური განათლების პროგრამა ფოკუსირებულია სექსუალურ ჯანმრთელობასა და სექსუალურად გადამდებ დაავადებების შესწავლაზე, ხოლო მეცხრე კლასში ფოკუსირებულია ჯანსაღ ურთიერთობებსა და სიყვარულზე. შემდეგ მოსწავლეები გადადიან საშუალო სკოლაში, სადაც გენდერული თანასწორობა და სექსუალური ჯანმრთელობა როგორც ცალკე საგანი არ არსებობს, მაგრამ მასწავლებლები აერთიანებენ თემებს სხვა საგნებში, როგორიცაა ბიოლოგია და ისტორია. კონკრეტულად როგორ არის დაგეგმარებული სწავლება სხვადასხვა კლასებში, დამოკიდებულია დირექტორსა და მასწავლებლებზე, თუმცა ისინი აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდნენ სექსუალური განათლების პროგრამის მთავარ პრინციპებს. მასწავლებლებს ასევე შეუძლიათ მრავალფეროვანი გახადონ თავიანთი გაკვეთილები და მოსწავლეები ჩართონ მრავალ აქტივობებში, მათ შეუძლიათ მოიწვიონ ქალთა უფლებების დამცველები, სექსუალური ჯანმრთელობის კლინიკის წარმომადგენლები, რათა ჩაატარონ სემინარები და მეტი ინფორმაცია გადასცენ სტუდენტებს.

რაც შეეხება სხვა ევროპის ქვეყნებს, გერმანიის სკოლებში სექსუალური განათლება სავალდებულო გახდა 1968 წლიდან. დანიაში, ფინეთსა და ავსტრიაში 1970 წელს, ხოლო საფრანგეთში 1998 წელს. ევროპის ქვეყნებში სექსუალური განათლების ხარისხი განსხვავებულია ქალაქებისა და სოფლებში.

ნორდიული და ბენილუქსის ქვეყნები ცნობილია სექსუალური განათლების უმაღლესი ხარისხის მქონე, ხოლო აღმასავლეთ და სამხრეთ ევროპის ქვეყნებს აქვთ სექსუალური განათლების დეფიციტური პროგრამები, გამონაკლისია პორტუგალია და ესპანეთი, ასევე ესტონეთმა არა ერთხელ განახორციელა მაღალი ხარისხის პროგრამები.

საქართველო

გარკვეული პერიოდის განმავლობაში საქართველოში მსჯელობდნენ იმაზე, უნდა მიეღო თუ არა ბავშვებს სკოლაში სექსუალური განათლება. საზოგადოების ნაწილმა ნეგატიური დამოკიდებულება გამოავლინა და ამ თემაზე საუბარიც შეწყდა, თუმცა დისკუსიები დღესაც ხშირად იმართება. რთულია იმის თქმა, თუ რა ინფორმაციას ფლობენ მოზარდები სექსუალურ ჯანმრთელობაზე, თუმცა ამ სფეროში მომუშავე ადამიანები ხშრად ამბობენ, რომ ეს ცოდნა მწირია და უმეტესად მცდარიც. საქართველოში მაღალი ტრიბუნიდან ამ თემაზე საუბრის დაწყების მცდელობას ვნებათაღელვის გარეშე არასდროს ჩაუვლია. ეკლესიის, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობის ნდობა აქვს, პოზიცია წლების განმავლობაში უცვლელია. იგი სექსუალურ განათლებას გარყვნილებასთან ასოცირებს და არ არის მომხრე სკოლებში ისწავლებოდეს. სქესობრივ საკითხზე მოზარდებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება ბიოლოგიის გაკვეთილებზე, რეპროდუქციული ჯანმრთელობის სახელწოდებით. რეპროდუქციულ სისტემას მოსწავლეები სწავლობენ მეცხრე კლასში, პარაგრაფი მოიცავს თემებს სახელწოდებით : კვერცხუჯრედი, სპერმატოზოიდი, განაყოფიერება, მამაკაცის სასქესო ორგანოები, მდედრობითი სასქესო ორგანოები, ქალის რეპროდუქციური სისტემა, მენსტრუალური ციკლი, რეპროდუქციული სისტემის ჯანმრთელობა, რეპროდუქციული სისტემის დაავადებები, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, ჩვილობა და ბავშობა, სქესობრივი მომწიფება და მოზარდობა. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის საკითები კონკრეტული საგნებისა და კლასების მიხედვით ამგვარადაა გადანაწილებული:

„ბუნებისმეტყველება“ (I-IV კლასი) - განსახილველი საკითხები: პირადი ჰიგიენის ნივთების დასახელება და ჰიგიენის წესების დაცვის მნიშნელობაზე მსჯელობა

(მაგალითად სავარცხელი, კბილის ჯაგრისი, პირსახოცი), ჯანმრთელობაზე მოქმედი სხვადასხვა მავნე ფაქტორების შესახებ მსჯელობა.

„მე და საზოგადოება“ (III-IV კლასი) - ისწავლება ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა (პირადი ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, სპორტული აქტივობები).

„ჩემი საქართველო“ (V-VI კლასი) - ფოკუსირებულია ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერებაზე.

„ფიზიკური აღზრდა და სპორტი“ (I-IV კლასი) - პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხოების ელემენტარული წესების დაცვა. (V-VI კლასი) - ჯანმრთელობის, როგორც საზოგადოებაში წარმატებული არსებობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორის, განსაზღვრა. თამბაქოს, ალკოჰოლის და ნარკოტიკის მავნე ზემოქმედება ორგანიზზმე.

„მოქალაქე“ (VII-IX კლსი)-ისწავლება: საკუთარი შეხედულებების, ქცევების შეფასება და კორექტირება, ემოციების მართვა, თვითრეფლექსია, გარდატეხის ასაკი, ადრეულ ასაკში ქორწინება, თანასწორობა სკოლებში, ძალადობა და ბულინგი.

2017 წლის 15 მაისს განათლების სამინისტრომ გაეროს სამ ფონდთან მოაწერა ხელი შეთანხმებას : ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა, ჯანსაღი ცხოვრება და რეპროდუქციული ჯანმრთელობა (იგივე სექსუალური განათლება) უახლოეს მომავალში ქართული სკოლის სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი იქნება. საქართველოს განათლების სამინისტროსა და გაეროს სამ უწყებას - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაძლიერების სტრუქტურას (გაეროს ქალთა ორგანიზაცია) შორის თანამშრომლობა მოიცავს საშუალო განათლების სამ ძირითად სფეროს:

1. ფორმალური განათლება სკოლებში;
2. არაფორმალური განათლება, მათ შორის არჩევითი საგნები და მშობელთა განათლება;
3. პროფესიული განათლება და ტრენინგი. (წყარო: agenda.ge)

თავი 2. სტუდენტთა დამოკიდებულება სექსუალური განათლების მიმართ (სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით)

§1. კვლევის დიზაინი

საკვლევი პრობლემის აქტუალობა :

სექსუალური განათლება საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. მართალია, დოკუმენტების დონეზე ბევრი საფუძველი არსებობს, რომ სქესობრივი საკითხები სკოლებში სრულფასოვნად ისწავლებოდეს, მაგრამ საკლასო ოთახებში ქაღალდზე დაწერილი ვალდებულებების განხორციელება პრაქტიკაში პრობლემურია და სათანადოდ არ ისწავლება. „საინფორმაციო სამედიცინო - ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომის“ წევრმა სპეციალისტებმა , 2020 წელს ბიოლოგიისა და სამოქალაო განათლების დაახლოებით 400-მდე პედაგოგს, სექსუალური განათლების საკითხებზე მხარდაჭერისა და ცოდნის გაღრმავებისთვის ინფორმაცია მიაწოდეს. სწორედ ამ შეხვედრებზე, პედაგოგებისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამბობენ, რომ ერთმნიშვნელოვნად იკვეთება პედაგოგებში კომპეტენციის ნაკლებობა. მათ სჭირდებათ შესაბამისი გადამზადება, მხარდაჭერა და მოტივაცია იმისათვის, რომ სასკოლო დონეზე სახელმძრვანელოებში დაწერილი საკითხები საგაკვეთილო პროცესში სრულფასოვნად დანერგონ.

ამასთანავე, 2020 წლის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები აღენიშნებოდა 79 ქალს, რომელთა ასაკი მოიცავდა 15 დან 19 წელს, ხოლო იგივე ასაკის მამაკაცებში დაავადებულთა რაოდენობა იყო 58. რაც შეეხება 2021 წლის მონაცემებს, დაავადებულთა რაოდენობა გაიზარდა, სექსუალური გზით გადამდები დაავადებები აღენიშნებოდა 129 ქალს და 85 მამაკაცს, რომელთა ასაკი არ აღემატებოდა 15-დან 19 წელს.

2013 წელს აბორტის რაოდენობამ 15-19 წლის ქალთა ასაკობრივ ჯგუფში პიკს მიაღწია და ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, 2014 წლიდან კი, კლების ტენდენცია შენარჩუნდა. 2020 წლის მონაცემებით, აბორტების რაოდენობა შეადგენდა 372-ს.

კვლევის მიზანი და ამოცანები:

კვლევის მიზანია დავადგინო, თუ რა დამოკიდებულება აქვთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს, სკოლებში სექსუალური განათლების სწავლების მიმართ.

კვლევის ამოცანები კი ჩამოყალიბებული იქნა შემდეგნაირად:

1. დავადგინოთ, რა ინფორმაციას ფლობენ სტუდენტები, სექსუალურ განათლებასა და ჯანმრთელობის შესახებ.
2. გავაანალიზოთ, რამდენად სრულფასოვანი იყო სექსუალური განათლება, რაც სკოლამ მისცა.
3. რა დაბრკოლებებს და პრობლემების წინაშე აღმოჩდნენ სტუდენტები სკოლის დამთავრების შემდეგ , არსებულ საკითხთან დაკავშირებით.
4. დავადგინოთ, რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის, სკოლებში არსებობდეს მაღალი ხარისხის სექსუალური განათლება.

შერჩევა (მეთოდოლოგია) :

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე 2 სამიზნე ჯგუფი შეირჩა: დარგის სპეციალისტი, ფსიქოლოგი და სექსოლოგი, ასევე ქ. თბილისის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტები. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს, ორმა ფსიქოლოგმა და ერთმა სექსოლოგმა. ასევე ფოკუს-ჯგუფის საშუალებით გამოკითხულ იქნა 32 სტუდენტი.

მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდები:

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა, თვისებრივი კვლევის მეთოდები. თემის სპეციფიკიდან გამომდინარე სტუდენტებთან ინდივიდუალური სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდმა მომცა საშუალება ამომწურავი და დეტალური ინფორმაცია მიმეღო არსებული საკითხის შესახებ

სტუდენტთა მხრიდან. ასევე ჩატარდა ექსპერტული გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ფსიქოლოგმა და სექსოლოგმა. ექსპერტთან გასაუბრება მოხდა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით.

კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა:

ნაშრომი მნიშნელოვან ინფორმაციას მოგვაწვდის, სექსუალური განათლების როლზე. რადგანაც ეს თემა აქტუალურია და დიდი ინტერესის საგანია საზოგადოებაში, მივიჩნევ, რომ ჩემი ნაშრომი კარგ დახმარებას გაუწევს მათ, ვისაც დააინტერესებს გაიაზროს რა რისკების ქვეშ შეიძლება დააყენოს მოზარდები, არასრულფასოვანი სექსუალური განათლების არსებობამ სკოლებში.

კვლევის შეზღუდვები:

კვლევის მთავარ სირთულეს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ სტუდენტთა გარკვეულმა ნაწილმა და ასევე ორმა სასულიერო პირმა, თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, უარი განაცხადა კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე.

ეთიკური საკითხები:

კვლევა განხორციელდა რესპოდენტთა ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, რაც გულისხმობს კვლევაში ჩართულობის ნებაყოფლობითობას და კონფიდენციალურობას. შესაბამისად, კვლევა ჩატარდა სოციოლოგიური კვლევის ეთიკის ნორმების დაცვით.

§2. კვლევის შედეგები

ექსპერტთა გამოკითვა

კვლევის პროცესში ექსპერტ ფსიქოლოგთან სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარების შედეგად. გამოკითხულ იქნა არასამთავრობო ორგანიზაცია - საინფორმაციო-სამედიცინო ცენტრი „თანადგომა“ წარმომადგენელი. მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივიღე რესპონდენტისგან სქესობრივი განათლების მიზნებსა და იმ მდგომარეობის შესახებ, რაც დღეს არის საქართველოს სკოლებში, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. ექსპერტმა ისაუბრა საკუთარ გამოცდილებაზე, სქესობრივი განათლების მნიშვნელობაზე, ასევე პროგრამებზე, რომელიც უნდა დაინერგოს სკოლებში და წინააღმდეგობებზე, რომელიც თან ახლავს ამ პროცესს.

აღსანიშნავია, რომ სექსუალური განათლება მრავალ ასპექტს მოიცავს, მასში გაერთიანებულია ყველა ის საკითხი, რაც მოზარდის ჯანმრთელობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, ექსპერტმა ასევე ისაუბრა მოზარდის ემოციურ მხარეზეც : “პირველ რიგში, აუცილებლად ემოციების ნაწილს მოიცავს. ადამიანებისთვის, ჩვენთის მნივნელოვანია ვიცოდეთ ემოციები როგორ გამოვხატოთ, ადამიანებს უჭირთ ემოციების რეგულაცია, ხშრად ისინი აგრესიულები არიან, ბრაზს გამოხატავენ ან პირიქით დათრგუნულები არიან და უნდა ვასწავლოთ როგორ გამოხატონ სწორად თავიანთი ემოციები. გარდა ამისა, კიდევ შედის რეპროდუქციული ჯანმრთლობა , ეს ისეთი თემაა, რომელიც თავისთვად გულისხმობს, ისეთ საკითებს რომელიც არის აივ ინფექცია, შიდსი, სქესობროვი გზით გადამდები ინფექციები, რეპროდუქციული სისტემის ონკოლოგიური დააავადებები, ორსულობის პერიოდი, აბორტის თემა. რა თქმა უნდა, ყველა ეს საკითხი უნდა ისწავლებოდეს სკოლებში გარდატეხის აასაკში, გარკვეული წარმოდგენები უნდა ჰქონდეთ. ასევე გენდერული საკითხი, თანასწორობის საკითხი შედის სექსუალურ განათლების პროგრამაში“.

რაც შეეხება მიზნებს, გამოიყოფა სამი ძირითადი მიზანი : „მოდი ვთქვათ რა მიზანს ემსახურება სექსუალური განათლება თუ სქესობრივი განათლება, ჯერ კიდევ ვერ შევჩერდით ამ საკითზე, ემსახურება სამ ძირითად მიზანს: რომ არ გავრცელდეს სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები - აივ ინფექციები ან შიდსი. არ მოხდეს

არასასურველი ორსულობები და შესაბამისად აბორტის ზიანი ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ დონეზე. სექსუალური ძალადობები, რომელიც ასე გავრცელებულია ახლა მსოფლიოში, მაგრამ ჩვენ ჩევნს ქვეყანაზე გვტკივა გული.”

ფსიქოლოგმა ისაუბრა ასევე იმაზე თუ, როგორ შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხზე. ამ ცვლილების მიზეზად კი პოლიტიკური ზეგავლენა დაასახელა : „არაფორმალურ დონეზე ამ საკითხს ვასწავლით 2000 წლიდან და სამწუხაროდ მაშინ უფრო გახსნილი იყო საზოგადოება. მაშინაც ვხვდებოდით მშობლებს და არ იყო ასეთი პროტესტი, როგორიც არის დღეს. მგონია, რომ ამ პრობლემას სხვა პოლიტიკური სარჩული აქვს, ასეთი განცდა მრჩება.“

სექსუალური განათლების ხარისხის ასამაღლებლად საჭიროა პედაგოგების გადამზადებაც : „კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ რომ ძალიან მნიშვნელოვანია, სექსუალური განათლება დაინერგოს სასკოლო სივრცეში და მან მიიღოს ფორმალური ხასიათი. ასევე აუცილებელია, გადამზადნენ ბიოლოგიის პედაგოგები, შეირჩნენ ისეთი პედაგოგოები, რომლებიც ღიად და თავისუფლად ასწავლიან ბავშვებს იმას რაც მათ სჭირდებათ. მთავარი მიზანია ბავშვზე სექსუალური ძალადობის აღმოფხვრა, სექსუალური განათლება ეს არის ძალადობის პრევენცია.”

ექსპერტმა ასევე აღნიშნა იმ წინააღმდეგობაზე რაც მშობლებისგან მოდის, სამწუხაროდ აგრესია დიდია მათი მხრიდან, რაც კიდევ უფრო აფერხებს სექსუალური განათლების, როგორც საგნის დანერგვას სკოლებში : „პირველ რიგში საჭირო არის დავარწმუნოთ მშობლებიც და მასწავლებლებიც, როგორც კი ამ თემაზე იწყება საუბარი მოდის უამრავი აგრესია, რომ ჩემს შვილს რას ასწავლით, რყვნით და აი მე არფერი ვიცოდი, მაგრამ გავაჩინე შვილები და არის ასეთი კომენტარები. ამ დროს დაპირისპირებულ ჯგუფს მინდა ვუთხრა, რომ რაზეც ვთანხმდებით იმაზე ვისაუბროთ და მერე იქნებ მივაღწიოთ გზას ამ მიზანზე გასასვლელად. რაზე ვთანხმდებით არის ის, რომ არცერთ მხარეს არ მოსწონს აბორტების მაღალი მაჩვენებელი ქვეყანაში. არცერთს არ მოგვწონს როცა გინეკოლოგებთან არის დაუსრულებელი რიგი ვენერიული დააავადებების სამკურნალოდ და მათ შორის შეუქცევადი ჯანმრთელობის დარღვევები ორსულობის დროს ან ორსულობამდე.”

ასეთი მდგომარეობა განაპირობებს სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელებას, რაც რა თქმა უნდა სახიფათოა მოზარდების ჯანმრთელობისთის. ამ პროცესის ხელშემწყობ ფაქტორად ფსიქოლოგმა დაასახელა ინფორმაციის ნაკლებობა არსებულ საკითხთან დაკავშირებით, რაც ბუნებრივია მრავალი პრობლემის წყაროა : "კაცებმა ხშირად არ იციან საერთოდ, რომ არიან დაავადებების მატარებელი და გადამდები. არ არის არანაირი ინფორმაცია ამის შესახებ , ამას ვერ ისწავლიან ინტერნეტში, ამას ვერ გაიგებენ ისეთი პორნო საიტებიდან, საიდანაც იღებენ ჩვენი ბიჭები განათლებას, რომ ეს არის კომპლექსების პირველი წყარო, იმიტომ რომ უამრავ ბიჭს მძიმე კომპლექსები აწუხებს, იმის გამო რომ მათ არარეალისტური წარმოდგენები აქვთ ასეთ საკითხებთნ მიმართებაში."

ინფორმაციის ნაკლებობა ქმნის დაუცველობის განცდას, ფსიქოლოგი ხაზს უსვამს სქესობრივი განათლების როლს, რომ ის წარმოადგენს იარაღს ამოვიცნოთ და თავი დავაღწიოთ ძალადობას : „სექსუალურ განათლებაში შესულია ჯანმრთელობის საკითხები, ეს არარის ის რომ ვიღაცა ვიღაცას ასწავლის როგორ უნდა გამრავლდეს, ეს არის ის რომ როგორ დავიცვათ ჩვენი თავი, როგორ დავიცვათ ძალადობისგან. ძალადობა ხომ არ არის მხოლოდ შემორტყმა და ცემა, ეს არის შანტაჟი სექსუალური სახის პირველ რიგში და ამის გამო ხალხს თავი მოუკლავს ჩვენს ქვეყანაში. მოზარდობის პერიოდში მითუმეტეს იმდენად ფაქიზია თინეიჯერის ფსიქიკა, შეიძლება უბრალოდ სუიციდამდე მივიდეს. ამ დროს არც ბიჭმა არ იცის რომ მოძალადეა და შანტაჟს ახორციელებს და ძალადობს ფსიქოლოგიურად გოგოზე, როდესაც მას უნდა იმის მიღება რასაც მისი ბიოლოგია სთხოვს და არც გოგომ არ იცის ამ დროს ის, რომ ძალადობის მსხვერპლია."

აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, სქესობრივი განათლება, როგორც უკვე აღვნიშნე მნიშნელოვანია და ამ საკითხზე არასწორი წარმოდგენები კიდევ უფრო აღრმავებს არსებულ პრობლემებს : „ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ახალგაზრდები სკოლებს როცა დაამთავრებენ იყვნენ შეიარაღებულები გარკვეული უნარებით, სასიცოცხლო ჩვევებით, რათა მომავალში შეძლონ ფუნქციონირება სწორად, იმისთვის რომ იყვნენ ბეედნიერები, კმაყოფილები და ჰარმონირებულები საკუთარ თავთან. როცა ვლაპარაკობთ სექსუალურ განათლებაზე მამებს ჰგონიათ, რომ ჩვენ

ველაპარაკებით სექსზე. მე სულ ვამბობ ხოლმე ტრენინგებზეც და ყველასთან , რომ სექსზე საუბარი შეუძლია მხოლოდ ისეთ სპეციალისტს როგორიც არის სექსოლოგი."

საინტერესოა რა ასაკიდან უნდა იღებდეს მოსწავლე სქესობრივ განათლებას, ამ კითხვაზე ექსპერტმა შემდეგნაირად უპასუხა : „უსაფრთხოების საკითხები, ბულინგის საკითხები უნდა ისწავლებოდეს პირველივე კლასიდან, დაწყებით საფეხურზე. მე წინ არ გავუსწრებ მოვლენებს, განათლების სამინისტროს აქვს კარგი პროგრამა, რომელიც ეხება ექიმის როლის გააქტიურებას სკოლაში, უბრალოდ მე არ მინდა რომ ამ მოვლენას გავუსწრო და ამ მიმართულებით ვისაუბრო. მეშვიდე კლასი ეს სულაც არ არის ის ასაკი როცა უნდა დავიწყოთ სექსუალურ საკითხებზე საუბარი, ეს უნდა მოხდეს უფრო ადრეულ ასაკში. ძალადობა, სექსუალურ შევიწროვება იწყება საბავშვო ბაღის ასაკიდან, როცა ბავშვი არის უძლური და უსუსური, ვერც ახდენს იდენტიფიცირებას თუ რა ხდება მის თავს, ეს რა ტიპის შეხებაა და ვის აქვს ასეთი შეხების უფლება."

ფსიქოლოგმა ასევე აღნიშნა ის სავალალო მდგომარეობა რაც დღეს გვაქვს ქვეყანაში პედოფილიის მხრივ, ეს რჩება საფრთხედ მოზარდების უსაფრთხოებისათვის და საჭიროებს სასწრაფო რეაგირებას, ცნობიერების ამაღლებას რათა დაცულები იყვნენ მოზარდები მსგავსი საფრთხეებისგან : „რაც შეეხება პედოფილიას , პედოფილია ყვავის ჩვენს ქვეყანაში, სტატისტიკა არ გვაქვს მაგრამ ყოველდღე მომდის ინფორმაცია როგორ ეხებიან მცირეწლოვან მოზარდებს სკოლის, ცეკვის მასწავლებელი ან ნათესავი მამაკაცები ინტიმურად. "

შესაბამისად, სქესობრივი განათლების ეფექტურობის გასაზრდელად აუცილებელია პედაგოგების მაქსიმალური ჩართულობა და კომპეტენტურობა სწავლების პროცესში, ვალდებულია სკოლის დირექტორებიც, უზრუნველყოს პედაგოგების ერთგვარი კონტროლი და გადამზადება : „სექსუალური განათლება უნდა იყოს სავალდებულო საგანი და ნებისმიერი პედაგოგი ვალდებულია, რომ ამ თემებზე ღიად ისაუბროს. წინააღმდეგ შემთხვევაში რაღაც რეგულაციები არსებობს და შესაბამისი რეაგირება უნდა მოხდეს. მე მახსენდება დირექტორები, საბედნიეროდ გავიცანი რამოდენიმე დირექტორი რომელიც აკეთებს უკუკავშირს, ბიოლოგიის მასწავლებლებს

ავალდებულებს ესაუბროს სქესობრივ საკითხებზე ბავშებს, მაგრამ ეს საერთო ამინდს ვერ შექმნის.“

ფსიქოლოგმა გაიხსენა თავისი გამოცდილება, რაც მკაფიოდ წარმოაჩენს დღევანდელ საქართველოში მშობლების დამოკიდებულებას სქესობრივი განათლებისადმი სკოლებში : „ხშირად შევსწრებივარ ისეთ ფაქტს, როდესაც მშობელი თხოვს მასწვლებელს გაყოს ჯგუფი და ისე აუხსნას სქესობრივი საკითები. იმ მასწავლებელმა საბედნიეროდ კატეგორიული უარი განაცხადა და ყველას ერთად მაინც ჩაუტარა გაკვეთილი.”

ამ ფაქტზე დაყრდნობით, მნიშნელოვანია პედაგოგის როლი სწავლების პროცესში. მან უნდა შექმნას საკლასო ჯგუფში ისეთი ატმოსფერო, რომ ბავშებმა სქესობრივი საკითხები მიიღონ, როგორც ჩვეულებრივი ბიოლოგიური მოვლენა და თავი უხერხულად არ იგრძნონ : „მასწავლებლის როლი რაშია, რაც უფრო ნაკლებ უხერხულობას იგრძნობს თვითონ და რაც უფრო ბიოლოგიურ ფაქტს ისე აღწერს საკითხს, იმდენად უფრო მარტივი იქნება აღსაქმელად ბავშებისთვის, რადგან ბავშვები ჩვენგან სწავლობენ ასეთ რაღაცეებს.“

საბოლოოდ, როგორც ექსპერტი აღნიშნავს, სექსუალური განათლების, როგორც საგნის დანერგვა, ხანგრძლივი პროცესია. ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტად ასევე ხელს უშლის საზოგადოების დამოკიდებულება და მათი მხრიდან თემის დემონიზირება : „ეს არის ხანგრძლივი პროცესი. განათლების სისტემას აქვს თავისი პროცედურები, რომელიც ნელი პროცესია. ჩვენს ტრაგედიას წარმოადგენს, ქვეყანაში სექსუალური ჯანმრთელობის საკითხების დემონიზირება. ბავშვებს კი არა უფროსებსაც კი ერიდებათ ამ საკითხზე საუბარი და ექიმთან ვიზიტი. ამიტომ გვინდა მომავალში იცოდნენ, როცა ექნებათ პრობლემა პარტნიორთან, მიმართონ სექსოლოგს, გინეკოლოგს რომ ეს თემები აღარ უნდა იყოს დღეს ტაბუირებული.“

კვლევის პროცესში ასევე გამოკითხულ იქნა, დარგის სპეციალისტი - სექსოლოგი, რომელმაც აქტიურად ისაუბრა სექსუალური განათლების გავლენაზე ინდივიდის საკუთარი იდენტობის აღქმაზე. მან აღნიშნა, რომ ეს არის პროცესი, რომლიც ადრეული ასაკიდან, ჯერ კიდევ ბაღის ასაკიდან იწყება: „როგორც წესი ორიდან ოთხ წლამდე, უკვე ხდება სქესობრივი იდენტობა. სქესობრივი განათლების ერთ-ერთი ფუნქციაა, ბაღის

ასაკიდანვე ვასწავლოთ ბავშვებს სქესს შორის განსხვავებები. სქესობრივი განათლება ინდივიდს ეხმარება საკუთარი იდენტობის მიკუთვნებაში.“

სექსოლოგი ხაზს უსვამს გაუნათლებლობის პრობლემას ქვეყანაში. მისი პრაქტიკიდან გამომდინარე არსებობს ქვეყანაში ისეთი პრობლემები, რომელის სასწრაფო მოგვარებას საჭიროებს, რადგან შემცირდეს სექსუალური გზით გადამდები ინფექციები, რომლის დიდი მაჩვენებელია დღეს მოზარდებში: „დღეს სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების აფეთქებაა ქვეყანაში,რაც იყო მეოცე საუკუნის დასაწყისში, ის მეორდება დღეს თანამედროვე საქართველოში. მაგალითად სიფილიფსი,ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მისი მაჩვენებელი თითქმის ნულამდე იყო დაყვანილი, დღეს ამან მიიღო ეპიდემიური ხასიათი. მქონია არა ერთი შემთხვევა, როდესაც ჩემთან მოდის 15 წლის მოზარდი, რომელიც უფროსმა მეგობრება ან ნათესავებმა დავაჟკაცების მიზნით მიიყვანეს ბორდელში სექს მუშაკთან, სადაც ელემენტარულად არ გამოიყენა კონდომი, რომელიც მას დაიცავდა, მოვიდა ამის შემდეგ ის ჩემთან სიფილისით დაავადებული.“

დარგის სპეციალისტმა ასევე ისაუბრა ძალადობების ფორმებზეც, რომელის შემთხვევებიც არც თუ ისე იშვიათია. განსაკუთრებით აღნიშნა მოზარდებში ძალადობის შემთხვევები და თავდაცვის უუნარობა, რომელიც ინფორმაციის ნაკლებობითაა განპირობებული: „ძალადობის სხვადასხვა სახეობები არსებობს , აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი, არსებობს ძალადობა რომელიც არის მოტყუებით, მუქარით და ფიზიკური ძალის გამოყენებით. პირველი და მეორე ეს უფრო ხშირად აღინიშნება ბავშვებში და ზუსტად ამის პრევენციის საშუალებას ჩვენ გვაძლევს სქესობრივი განათლება, რომ პირდაპირ ვასწავლოთ ბავშებს რა ქცევაა, რა ხასიათის მუქარა არის მიუღებელი.“ „ ყოფილა შემთხვევა, რომ 6 თვის მანძილზე ბავშვი იყო მოძალადის მსხვერპლი. რატომ ხდება ეს ? ბავშვი როცა განიცდის სექსუალურ ძალადობას, რა თქმა უნდა ამას პარალელურად მოყვება მუქარა და შანტაჟი მოძალადის მხრიდან. მაგალითად, აი დედაშენს მოკლავენ, სახლიდან გაგაგდებენ, მამაშენი მერე მე დამიწყებს დევნას და მამაშენს ციხეში ჩასვამენ და ანუ ამას მოყვება რა ბავშვის ერთგულება მშობლების მიმართ და ავტომატურად იწვევს იმას , რომ ბავში ხდება ჩაკეტილი და ძალადობის ფაქტს მალავს.“

სექსოლოგმა ისაუბრა მოზარდების იმ კომპლექსებზე, რომლის ჩამოყალიბებასაც შესაძლოა მშობლების ინფორმირებულობის ნაკლებობამ შეუწყოს ხელი. ასეთი საკითხი შესაძლოა იყოს მასტურბაცია, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია მოზარდებში. იმის მიუხედავად, რომ ეს ნორმაა მოზარდებში, მშობლები მაინც აღშფოთებით ხვდებიან ამ ფაქტს, როგორც სექსოლოგი აღნიშნავს ხშირია მათ მიერ აკრძალვა მასტურბაციის თავიანთ შვილებში. მსგავსი იძულებითი ქმედებები მრავალი კომპლექსის წყარო ხდება ბავშებში: „დაშლით და აკრძალვით ბავშვს მიადგება როგორც ფსიქოლოგიური, ასევე სექსუალური ტრავმაც. გოგონებს შეიძლება განუვითარდეს ფრიგიდულობა, ბიჭს კიდევ სხვადასხვა კომპლექსები. ეს არის ნორმა ბავშებში, ეს არის ელემენტარული კომპესატორული მექანიზმი.“ „მშობლებიც არ ესაუბრებიან თავიანთ შვილებს, ესეც მნიშვნელოანი პრობლემაა, იმიტომ რომ გარდატეხის ასაკში ვის მიმართოს მოზარდებმა, სხვადასსხვა პრობლემებზე არიციან. მშობლების მიმართ უნდა ჰქონდეთ ნდობა, რათა როცა რაიმე პრობლემა შეექმნებათ ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე მიმართონ მათ.“

სექსოლოგმა ასევე ხაზი გაუსვა სკოლის როლს, ადამიანის ცნობიერების ფორმირებაში. მისი აზრით სკოლა აუცილებლად უნდა აწვდიდეს მოზარდს სრულყოფილ ინფორმაციას სქესობრივ საკითებთნ დაკავშირებით. სექსუალური განათლება არის ერთადერთი ეფექტური გზა ჯანსაღი და სრულფასოვანი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში: „და აქვე უნდა აღვნიშნო სკოლის როლიც, სრულებით მართებულია რომ ეტაპობრივად, მოზარედების ასაკთან შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს სკოლამ მოსწავლეებს. რაც უფრო ადრეული ასაკიდან დაიწყება ინფორმაციის მიწოდება, მით უფრო ავირიდებთ - ძალადობის, უამრავი ინფექციებისა და დაავადებების გავრცელების საფრთხეებს თავიდან.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო სასულიერო პირმაც. ინტერვიუ ჩატარდა ბაღდათის წმინდა გიორგის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტთან. სასულიერო პირს საკმაოდ პოზიტიური დამოკიდებულება აქვს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ის მომხრეა დაინერგოს სექსუალური განათლება სკოლებში, რადგან მას მიაჩნია, რომ განათლება ზოგადად არასდროს არ არის ზედემტი. როგორც მღვდელი აღნიშნავს, ეს უნდა მოხდეს ძალიან ფაქიზად და პროფესიონალურად. ვინაიდან ეს არის სპეციფიკური საგანი, აუცილებელია მოხდეს პედაგოგების გადამზადება, და ეს საგანი აუცილებლად

უნდა ასწავლოს სპეციალურად გადამზადებულმა პროფესიონალებმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ განათლებას შედეგი არ ექნება. მოსწავლეს უნდა მიეწოდოს თავის ასაკთან შესაბამისი ინფორმაცია. : "ჩემთვის სრულებით მისაღებია, ოღონდ ეს ინფორმაციის მიწოდება აუცილებლად უნდა მოხდეს ეტაპობრივად და ასაკის შესაბამისად, თუ დავუშვათ მეოთხე კლასელს მეთორმეტე კლასის ინფორმაციას მიაწვდი რა თქმა უნდა ეს ჩემთვის მიუღებელი იქნება და თანაც არც იმუშავებს."

რაც შეეხება აგრესიულ მხარეს, რომელიც კატეგორიულად წინააღმდეგია პროგრამის დანერგვის საგანმანათლებლო სისტემაში, ამის მიზეზად სასულიერო პირი ინფორმირებულობის ნაკლებობას ასახელებს. მას მიაჩნია რომ ქვეყანაში არ არის პროგრამა რომელიც ყველასათვის ცნობილია, საკითხის მიმართ ბუნდოვანება კი ავტომატურად პროტესტს წარმოშობს : „არიან კი ბევრი წინააღმდეგი, რადგან არ იციან ზუსტად რას გულისხმობს სექსუალური განათლება და თვითონ სიტყვა „სექსუალური" იწვევს აღშფოთებას სააზოგადოებაში. საკითხთან მიმართ ბუნდოვანება წარმოქნის ეჭვებს და გაუგებრობებს საზოგადოებაში."

მღვდელი, წინააღმდეგობების და პროტესტის აღმოსაფხვრელად, თვლის რომ აუცილებელია მიეწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია, ზუსტად რას მოისაზრებს სექსუალური განათლების პროგრამა : „მაშინ წინასწარ უნდა გააცნონ რა პროგრამაა, რა თემები შედის ამ სექსუალურ განათლებაში და ხალხის ცნობიერებაც ამაღლდება ამ საკითხთან დაკავშირებით. ხალხს გონია რომ უშალოდ აქტია განხილული ამ საგანში, მეც ვიცი რომ ეს ასე არ არის და ბევრ საკითხს მოიცავს. მაგრამ კონკრეტულად რა საკითხები, ხო შეიძლება ამაზე ინფორმაცია მოგვაწოდონ."

სასულიერო პირმა, ასევე ისაუბრა საკუთარ გამოცდილებებზეც. იგი აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და აღნიშნა, რომ ბევრი სქესობრივი საკითხია შესული სხვადასხვა საგანმანათლებლო კლუბებში : „მე ხშრად მაქვს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და იქ არის ერთი ასეთი მშვიდობის გზის კლუბი, სადაც ეს საკითხებიც შედის შიგნით მაგრამ ასაკთან შესაბამისობაში, ისეთი რაღაც შეიძლება შედიოდეს ამ საგანში, ადამიანმა შეიძლება იფიქროს ეს საერთოდ რა შუაშია სქესობრივ საკითხებთან."

რესპონდენტმა, გაიხსენა მის პრაქტიკაში ისეთი შემთხვევაც, როდესაც საზოგადოების აგრესია და პროტესტი მოყვა კონკრეტული საგნების დანერგვას, საგანმანათლებო სისტემაში : „თავის დროზე „ერი და საზოგადოება“, რომ დაინერგა სკოლაში, იმაზე ატყდა ერთი ამბავი მახსოვს. ეს არის ის, რომ ინფორმირებულობის ნაკლებობაა, მეც თვითონ რომ მაქვს შეხება ასეთ რაღაცეებთან, მეც კი არ ვიცი და არ მიმიწვდება ხელი პროგრამაზე, რომ საფუძლიანად გავიგო რას გულისხმობს. თუ უნდა დაინერგოს კარგი პროგრამა უნდა იყოს კარგად დამუშავებული.“ მან ასევე მკაფიოდ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია : „ჩემი პოზიცია არის თუ შესაბამისი ბაზა იქნება თავის პედაგოგებიანა , თავის პროგრამიანად მომზადებული მაშნ რა თქმა უნდა ამის სწავლების პრობლემა არ არის, მაგრამ თუ ეს ბაზა არ იქნება მომზადებული მაშინ პრობლრმა იქნება. ამანშეიძლება რაღაც საკითებში ძალადობები გამოიწვიოს პირიქით ბავშებში.”

გამოიკვეთა სასულიერო პირის უნდობლობა საგანმანათლებო სისტემის მიმართ, მან მრავალჯერ გაუსვა ხაზი პროფესიონალების როლს სწავლის პროცესში : „როდესაც ახალი საგანი ინერგება ჯერ პროფესიონალები უნდა იყოს ამის, რომ ეს საგანი ასწავლონ, მაგრამ საქართველოში ყველაფერი არეულ-დარეულად ხდება. მე ეჭვი მეპარება, რომ ამ საკითხის ბევრი პროფესიონალი გვყავდეს ქვეყანაში. საქართველოში ეგ საგანი, რომ დაინერგოს ყველა სკოლაში, რამოდენიმე ათასი მასწავლებელი სჭირდება და მაგდენი პროფესიონალი ამ საგნის არაა, რამოდენიმე ათეულიც კი არ იქნება ჩემი აზრით. ანუ თავად საგნის პრობლემა არ არის, უფრო პროფესიონალების პრობლემას ვხედავ მე აქ.“

სექსუალური განათლების შემაფერხებელ ფაქტორად, მღვდელმა, საზოგადოების გარკვეული ნაწილის წინააღმდეგობის გარდა, პოლიტიკური სარჩულიც დაასახელა და უიმედობა გამოთქვა, ახლო მომავალში სექსუალური განათლების პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით : „ ყოველთვის მოერიდებიან სექსუალური განათლების დანერგვას, რადგან ეს გამოიწვევს რეიტინგის დაცემას, საპროტესტო გამოსვლებს ამ საკითხთან დაკავშირებით და ეს არავის არ აწყობს, მე არ ვამბობ, რომ ეს კარგია. ზოგადად განათლების სისტემაში პრობლემაა, იმიტომ რომ ყველას განათლების სისტემა უნდა ხელისუფლების შესანარჩუნებლად. ამიტომ იქ რომ ასეთი პროგრამები გაატარონ,

ძალიან ბევრი განაწყენებული დარჩება და ამიტომ არის განათლების სისტემა საშინელ მდგომარეობაში ჩვენთან.“

ფოკუსჯგუფების ანალიზის შედეგები

კვლევის ფარგლებში სულ ჩატარადა 4 ფოკუსჯგუფი, რომელთაგანაც თითოეულში მონაწილეობა მიიღო 7-8-მა რესპონდენტმა.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს თითქმის ერთნაირი ისტორია აქვთ, სკოლაში მიღებული სექსუალურ განათლებასთან დაკავშრებით. რესპონდენტებმა ისაუბრეს თავიანთ გამოცდილებაზე და გაიხსენეს სკოლის პერიოდი. მათი თქმით პირველად, მეცხრე კლასში გაიგეს, რომ არსებობდა ისეთი საგანი სადაც უნდა მიეღოთ სექსუალური განათლება. იმის მიუხედავად, რომ თემა ძალიან აინტერესებდათ ბიოლოგიის პედაგოგმა მთლიანად გამოტოვა წიგნში მოცემული პარაგრაფი : „ჩემს შემთვევაში, მეცხრე კლასში იყო ბიოლოგიის წიგნში ასეთი პარაგრაფი შეტანილი, რეპროდუქციაზე, სადაც უნდა გვესაუბრა მსგავს თემებზე მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე სტანდარტულად, მასწავლებელი გადაახტა პარაგრაფს, თითქოს არც ყოფილა წიგნში შეტანილი. ფაქტობრივად არც გაგვივლია ეგ საკითხი, მასწავლებლისგან არ მიგვიღია რაიმე კონკრეტული ცოდნა.“

ასევე აღნიშნეს რესპონდენტებმა, მოსწავლეების არასერიოზული დამოკიდებულება მსგავსი საკითხების მიმართ, რაც კიდევ უფრო აფერხებდა გაკვეთილის სრულფასოვნად ჩატარების პროცესს : „სკოლაში ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციები, გაერთიანებული იყო ჩვეულებრივად, ანატომიასთან და რეპროდუქციულ სისტემასთან, მაგრამ გავიარეთ როგორც ცხოვრების ჯანსაღი წესი, მაგრამ გაკვეთილმა სიცილ-ხარხარში ჩაიარა, სწორედ გაუნათლებლობის გამო და მასწავლებელს უწევდა წიგნში არსებული თავების გამოტოვება, რადგან შეუძლებელი იყო ფაქტობრივად გაკვეთილის ჩატარება.“

სტუდენტებმა ასევე ხაზი გაუსვეს მასწავლებლის ზედაპირულ დამოკიდებულებას სექსუალური განათლების საკითხების მიმართ : „ როდესაც მასწავლებელს კითხვები დავუსვით, თუ რატომ გამოვტოვეთ მასალა წიგნში, მან გვიპასუხა, როცა დრო

მოვიდოდა ყველაფერს ჩვენთვის გავიგებდით და არ იყო საჭირო სკოლაში მსგავს უხერხულ საკითხებზე საუბარი.“

რესპონდენტებმა ასევე გაიხსენეს ისეთი შემთხვევაც, როდესაც რეპროდუქციულ სისტემას სწავლობდნენ, მოხდა ჯგუფის განცალკავება სქესის მიხედვით, რათა ჩატარებულიყო გაკვეთილი : „მეცხრე კლსში მახსენდება ასეთი ფაქტი, როდესაც სკოლაში მოვიდნენ ერთ-ერთი კომპანიის წარმომადგენლები, რომლებსაც უნდა ესაუბრათ მენსტრუაციაზე. შემოვიდნენ კლასში და გამოაცხადეს რომ გოგონები უნდა გავეყვანეთ საიდუმლო თემაზე, რაც არ შეიძლებოდა რომ ბიჭებისთვის ეთქვათ. გაგვიყვანეს, ძალიან მოკლედ აგვიხსნეს რა იყო ზოგადად მენსტრუაცია, დაგვირიგეს ჰიგიენური საფენები და ჩუმად გაგვატანეს კლასში, თან გაგვაფრთილეს ბიჭებს არ დაენახათ, თითქოს რაღაც სამარცხვინო ხდებოდა და არ შეიძლებოდა გამოჩენა, რაც სრული აბსურდია.“

რადგანაც, რესპონდენტებმა სკოლის ასაკში ვერ მიიღეს საკმარისად ის ინფორმაცია და განათლება რაც სექსუალურ განათლებას უკავშირდება, გადაწყვიტეს ეს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აეღოთ და თავად დაიწყეს ინფორმაციების მოძიება, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის, იმ მხრივ რომ ინტერნეტ სივრცეში ბევრი არასწორი ინფორმაციაა : „მე ჩემით მომიწია იმ ინფორმაციის მოძებნა, რაც ვფიქრობ სკოლას უნდა მოეცა ჩემთვის. სექსუალური განათლება სწორედ იმას მოიცავს, რომ ერთმანეთისგან გავარჩიოთ ცრუ და ჭეშმარიტი ინფორმაცია, ამიტომ დავძვრებოდი ინტერნეტში და სულ სხვადასხვა ინფორმაციას ვკითხულობდი. მე ჩემით მივაგენი, რომელიც იყო სწორი და ადეკვატური ინფორმაცია.“

სკოლაში არსებული არასრულფასოვანი სექსუალური განათლების გამო, რესპოდენტებს რჩებოდათ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა. ერთ-ერთი რესპოდენტი იხსენებს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც კითხვებზე პასუხის ძიება მშობლებთან დაიწყო. სამწუხაროდ, პასუხები ვერ მიიღო, რადგან სქესობრივ საკითხებთან დაკავშრებით მშბლებიც თავშეკავებულები და არაკომპეტენტურები აღმოჩდნენ : „ არ მახსოვს სად, მაგრამ ერთ ჟურნალში ამოვიკითხე სიტყვა მენსტრუაცია, წარმოდგენა არ მქონდა რა იყო. მაშინვე დედას ვკითხე აეხსნა ამ სიტყვის მნიშვნელობა ჩემთვის. სხვათაშორის თავი შეიკავა,

შეყოყმანდა და ბოლოს მითხრა ენციკლოპედიებში მომეძებნა, მაშინ ინტერნეტი არ გვქონდა. გადმოვიღე ყველა წიგნი სადაც ამ სიტყვის განმარტება მეგულებოდა, ბოლოს ვიპოვნე წავიკითხე და ჩემით გავერკვიე რასნიშნავდა."

ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა სოციალური მედიის როლი, რადგან აქტიურად მოიხმარს საზოგადოება მას, უამრავი ინფორმაციის გაცვლა ხდება დღის მანძილზე და ბევრი რამის სწავლაც შეიძლება, როგორც სოციალური მედიიდან ასევე ზოგადად ინტერნეტის საშუალებით : „ ზუსტად საიდან მივიღე სექსუალური განათლება ასე არ მახსენდება, მე არასდროს დამიგუგლავს, უბრალოდ სოციალური მედია ისეთია, რომ დროთა განმავლობაში ნელ-ნელა გიგროვდება ეს ცოდნა. სერიალების ყურებითაც ხვდები რაღაცეებს, მაგრამ რამდენად სწორად ეს ცალკე საკითხია."

„ მე პირადად ერთხელ წავაწყდი ისეთ სტატიას სადაც ეწერა, რა იყო სწორი და რა მითი და რეალობას აცდენილი, ამ სტატიიდან ბევრი რამე გავიგე თუ რა იყო სწორი და რა არასწორი."

რესპოდენტებმა ასევე ისაუბრეს სკოლის როლზე და იმ ფუნქციაზე რასაც სკოლა არ ასრულებს. მათი აზრით, სკოლას შეუძლია მოგცეს განათლება და დაგიცვას არაადეკვატური, ცრუ ინფორმაციებისგან, რომელიც შეიძლება ცუდად აისახოს ბევრ გადაწყვეტილებაზე რასაც მოზარდი იღებს: „ აუცილებელია სკოლებში დაინერგოს სექსუალური განათლება, შედგეს ისეთი პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კოგნიტური, ემოციური, ზოგადად სექსუალური ცხოვრება, როგორ უნდა დაიწყოს ახალგაზრდამ და მოგვაწვდიან სწორ ინფორმაციას. შესაბამისად ჩვენც არ მოგვიწევს ინტერნეტში ქექვა ათასი ინფორმაციის, რომელიც არავინ იცის რამდენადაა აცდენილი რეალობას".

რესპოდენტების აზრით სკოლა არის სწორედ ის ადგილი სადაც მოზარდი ყველა ვარიანტში უნდა ღებულობდეს სექსუალურ განათლებას : „ სკოლა უნდა გვამზადებდეს რეალური ცხოვრებისთვის, იდეაში მაგისთვის არის შექმნილი. აკადემიური განათლების გარდა უნდა ჩართონ სხვა რაღაცებიც, მათ შორის აუცილებლად სექსუალური განათლებაც. დროა უკვე დაინერგოს."

საინტერესო იყო ბიჭების დამოკიდებულება და ცოდნა სექსუალური განათლების მხრივ, როგორც რესპოდენტები აღნიშნავენ, თავად გოგოებმა აუხსნეს და ასწავლეს ბევრი რამ რეპროდუქციულ სისტემაზე. : „ბიჭებმა სკოლის ასაკში, არც კი იცოდნენ რა იყო ეს მენსტრუაცია და ჩვენ გოგოებმა დავისვით და ავუხსენით ყველაფერი დეტალურად. საბედნიეროდ ძალიან გაგებით მოეკიდნენ ამ საკითხს და ჩვეულებრივ მოვლენად მიიღეს. თუმცა მყავს ისეთი მეგობრებიც, რომელიც ყოფილა ბულინგის მსხვერპლი ბიჭების მხრიდან, სკოლის პერიოდში."

„ მე მახსენდება ფაქტი, როდესაც კლასელს უპოვნეს საფენი ჩანთაში და მთელი კლასის ბიჭებმა ისეთი დაცინვა დაუწყეს, ძალიან შემეცოდა."

მსგავსი ბულინგის მიზეზად, რესპოდენტები სექსუალურ გაუნათლებლობას , ასევე არასრულწლოვანთა აბორტების, ფეხმძიმობის მთავარ მიზეზად სექსუალური განათლების არ არსებობა დაასახელეს : „ მე მყოლია კლასელი, რომელიც შემთხვევით დაფეხმძიმდა, რადგან არიცოდა თავი როგორ დაეცვა. საბედნიეროდ ისეთი დედა ყავდა, მთელი სერიოზულობით მოეკიდა ამ საკითხს და მაქსიმალურად ხელი შეუწყო, რომ რაიმე ტრავმა არ დარჩენოდა. სამწუხაროდ ბევრს არ უმართლებს და ამ დროს მშობლებიდანაც განიცდიან აგრესიასა და წნეხს. მშობლებმაც არ იციან, რომ ამ ასაკში ბუნებრივია შეცდომების დაშვება და ამის თავის ასარიდებლად არა დატუქსვა, არამედ ცნობიერების ამაღლებაა საჭირო.'' „ მე კიდევ მახსენდება ისეთი შემთხვევა, როდესაც მეგობარს სკოლის ასაკში შიში ქონდა, რომ ფეხმძიმედ იყო. იმხელა სტრესი გადაიტანა, სასაცილო კი ის არის, ამ გოგოს არანაირი სექსუალური ურთიერთბა არ ქონია ბიჭთან, მხოლოდ აკოცა და ეგონა რომ ფეხმძიმედ იყო. არ იციან დაფეხმძიმება როგორ ხდება, ესეც რა თქმა უნდა გაუნათლებლობის მაჩვენებელია. სკოლა, რომ შესაბამის სექსუალურ განათლებას გვაძლევდეს, მოზარდებს მსგავსი სტრესის გადატანა არ მოუწევდა."

ბულინგის გარდა, ერთ-ერთმა რესპონდენტმა გაიხსენა სექსუალური შევიწროვების ფაქტიც, რომელზეც სათანადო რეაგირება ვერ მოახდინა სწორედ დაბალი სექსუალური განათლების გამო, როგორც იგი აღნიშნავს : „ მახსოვს ექსკურსიაზე ვიყავით, ალბათ მეშვიდე კლასში ვიქნებოდი. იყვნენ კლასელების დედებიც და მამებიც. ერთ-ერთმა მშობელმა, კაცმა, მგზავრობის დროს დამიწყო ინტიმურად ხელების შეხება ჩემს ფეხებზე.

მაშინ ვერ გავიაზრე რა ხდებოდა, თითქოს ვხვდებოდი, რომ მას ამის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ვერ გავბედე ხმის ამოღება. ხელით შეხება მთელი გზა გრძელდებოდა. ძალიან რომ შევწუხდი, პირველივე შესაძლებლობაზე მოვერიდე და საერთოდ სხვა ადგილზე გადავჯექი, დედა თან არ მახლდა. რომ გავიზარდე შემდეგ უფრო გავაცნობიერე მაშინ რა მოხდა და ახლა ძალიან ვბრაზდები, რომ მახსენდება. მაშინ მე რომ მქონოდა სკოლაში, მსგავსი განათლება თუ როგორ უნდა დამეცვა თავი და აუცილებლად უნდა ამომეღო ხმა და მქონოდა რეაგირება მსგავს ფაქტზე, აუცილებლად ბევრად თამამად და მტკიცედ მივუჩენდი იმ კაცს თავის ადგილს და ყველას გავაგებინებდი ვინც იყო. როცა სკოლაში იღებ კონკრეტულ საკითხებზე განათლებას, შემდეგ უფრო თავდაჯერებულიხარ ჩემი აზრით.“

კითხვაზე პასუხი, სექსუალური განათლების დანერგვის შემდეგ, გვექნებოდა თუ არა აბორტების მაღალი მაჩვენებელი ახალგაზრდებში, რესპონდენტებმა შემდეგნაირად უპასუხეს : „ ბევრად ნაკლები მაჩვენებელი გვექნებოდა. ჩემი აზრით ეგ არის ჩვენი პრობლემა, რომ ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში ვერ აღწევს ეს სექსულური განათლება და ბევრი ორგანიზაციაც უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, რომ დიდი ნაწილი წინააღმდეგი იყოს სექსუალური განათლების.“

რესპონდენტები ერთხმად თანხმდებიან საკითხზე, რომ სექსუალური განათლების დაბალი ხარისხი საფრთხის შემცველია, ის არის წყარო ბევრი პრობლემის და აუცილებელია დაინერგოს სექსუალური განათლების პროგრამა სკოლებში : „ არცოდნა ყოველთვის ძალიან დიდ პრობლემებს წარმოქმნის ხოლმე და ჩვენთვისაც ძალიან დიდი დისკომფორტია ინტერნეტში ძიება უამრავი ინფორმაციის და შემდეგ გარკვევა თუ რა შეესაბამება სიმართლეს და რა არა.“ „სექსუალური განათლების მთავარი მიზანი არის რეალურად ის, რომ შეამციროს ზუსტად არასასურველი ორსულობის რისკები და აბორტების მაჩვენებელი, ასევე სხვადასხვა დავაადებებისა და ინფექციების გადაცემას შეუშალოს ხელი და ბავშვებზე სექსუალურ ძალადობას. ასე რომ, კი აუცილებელია მოზარდების ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით.“

დასკვნა:

საბოლოოდ, დასკვნის სახით გამოიყო ძირითადი მიგნებები:

1. კვლევის პროცესში გაირკვა, რომ აქტიური განხილვა არის დაწყებული განათლების სამინისტროში, რათა მომავალში საგანმანათლებლო სისტემაში დანერგილი იქნას სექსუალური განათლების პროგრამა, რასაც ამტკიცებს 2017 წელს, გაეროსთან დადებული ხელშეკრულება. თუმცა კონკრეტული დრო დაზუსტებული არ არის, თუ როდიდან დაიწყებს საგანმანათლებლო სისტემა სექუალური განათლების დანერგვას სკოლებში.
2. გამოკითხული ექსპეტების საფუძველზე, მოზარდების სრულყოფილი ჩამოყალიბებისა და სრულფასოვანი ცხოვრებისთვის, მნიშვნელოვანია ადრეული პერიოდიდან მათი ცნობიერების გაზრდა ყველა მიმართულებით, მათ შრის ისეთი საკითების მიმართ, რასაც სექსუალური განათლება მოიაზრებს.
3. კვლევაში მონაწილე ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტების დიდი ნაწილი სექსუალური განათლების, მისი მნიშვნელობის, სპეციფიკისა და საგანმანათლებლო სისტემაში მისი როლის შესახებ ინფორმირებულია.
4. სტუდენტების დიდ ნაწილს სმენია იმ ძირითადი წყაროების შესახებ, საიდანაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება არსებულ თემაზე, თუმცა მათი გარკვეული ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ მიერ შემეცნებულ ინფორმაციათა ნაწილი სიმართლეს არ შეესაბამება, რამაც გარკვეულწილად უარყოფითი გავლენა იქონია მათ ინფორმირებულობაზე სქესობრივი საკითხებთან დაკავშირებით.
5. გამოკითხულ ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტების დამოკიდებულებაში, მკაფიოდ ჩანდა არსებული საგანმანათლებლო სისტემის მიმართ უნდობლობა, ვინაიდან მათ აღნიშნეს, რომ სკოლაში არანაირი განათლება არ მიუღიათ ამ მიმართულებით და ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია რაც გააჩნდათ, მოიპოვეს დამოუკიდებლად ან მეგობრების მეშვეობით.
6. კვლევაში გამოიკვეთა ერთგვაროვანი დამოკიდებულება სექსუალური განათლების, როგორც საგანმანათლებლო საგნის მნიშვნელობის შესახებ. დღითიდღე იზრდება საზოგადოებაში ინტერესი ამ საკითხის მიმართ და არის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი არგუმენტებიც.

7. საქართველოში ამ ეტაპზე არ არსებობს არც ერთი ოფიციალური გამოცემა, რომელიც სრულყოფილ თეორიულ ცოდნას მიაწვდის ახალგაზრდებს სექსუალური განვითარების კუთხით, იმის მიუხედავად, რომ ბოლო პერიოდში ფსიქოლოგებმა და დარგის სპეციალისტებმა მკაფიოდ დაიწყეს ამ თემის განხილვა საზოგადოებაში.
8. საზოგადოებაში არსებობს მოსაზრებები, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებში სექსუალური განათლების დანერგვა ახალგაზრდების გარყვნილებასთან არის დაკავშირებული, ვიდრე მათი ცნობიერების გაზრდასთან.
9. გამოკითხული სტუდენტების დიდი ნაწილი თვლის, რომ ხარისხიანი სექსუალური განათლება გაცნობიერებული გადაწყვეტილებების წინაპირობაა, რომელიც განაპირობებს სექსუალური გზით გადამდები დაავადებების გავრცელების შემცირებას, ასევე შეამცირებს არასრულწლოვანთა აბორტების და არასასურველი ორსულობის შემთხვევებს.
10. დღემდე ტაბუდადებულად რჩება სექსუალური საკითხი საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის, ვინაიდან რამოდენიმე სტუდენტმა და სასულიერო პირმა უარი განაცხადა კვლევაში მონაწილეობაზე, არსებული საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ძირითადი რეკომენდაციები:

კვლევაზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც არის მთავარი მასტიმულირებელი როგორც სექსუალური განათლების პროგრამის დანერგვისათვის სკოლებში, ასევე საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების შემცირებისა და ცნობიერების ამაღლებისათვის.

აუცილებელია საზოგადოებას სწორად მიეწოდოს ინფორმაცია სექსუალური განათლების მიზნებისა და პროგრამის შესახებ, რათა არიდებულ იქნას აგრესია, გაურკვევლობა და წინააღმდეგობა საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან.

არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით, მნიშვნელოვანია, გადადგმულ იქნას კონკრეტული ნაბიჯები განათლების სამინისტროს მიერ. რადგანაც სექსუალური განათლება და ინფორმირებულობა ასეთი საჭიროა მოზარდებისთვის, აუცილებელია სწრაფად განხორციელდეს მისი შეტანა საგანმანათლებლო სისტემაში. მოზარდებში სრულფასოვანი სექსუალური განათლება, უზრუნველყოფს მათი ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას, მოხდება მრავალი სქესობრივი გზით გადამდები დავაადებების გავრცელების შემცირება, ასევე დაიწევს არასრულწლოვანთა როგორც აბორტების, ასევე არასასურველი ორსულობის შემთხვევების მაჩვენებელიც.

სასურველია მცირე ასაკიდანვე ხდებოდეს ზრუნვა ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშრებით, რომელიც შემდეგ განაპირობებს ინდივიდის სრულფასოვან სექსუალურ ცხოვრებას, თავდაცვას, როგორც ფიზიოლოგიურ ასევე ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

ბიბლიოგრაფია

გორგოძე.ს. (2021). სექსუალური განათლება-რა ისწავლება სკოლებში.

ედვერტონი, კ., დეკანოსიძე.თ, ხატიაშვილი.გ, ბარბაქაძე.ნ, & ბიჭიკაშვილი.ლ. (2021). *სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სასამართლო.* თბილისი.

ლივეხუდი, ბ. (2022). *ადამიანის ცხოვრების გზა .* თბილისი: "აწმყო".

ღოღობერიძე.ხ. (2019). სექსუალური განათლება საქართველოში-დახურული და საშიში თემა. *Jam news*.

წულაძე. (2020). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

წულაძე, ლ. (2020). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჯანმრთელობის დაცვა სტატისტიკური ცნობარი 2020. (2021). თბილისი: დავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

(https://www.northcollins.com/departments/special_education_department/what_is_the_committee_on_special_education___c_s_e?

(https://www.unesco.org/en/health-education/cse

https://www.northcollins.com/departments/special_education_department/what_is_the_committee_on_special_education___c_s_e?

Basile, K. C., Degue, S., Dils, J., & Raiford, J. L. (2016). *STOP SV: A Techical Package to Prevent Sexual Violence.* Atlanta.

Emily bridges, M. a. (2014, may). Retrieved from https://www.advocatesforyouth.org/resources/fact-sheets/sexuality-education-2/

Fried, S., & Larsson, E. C. (2021). *Sexual and Reproductive Healthcare.* sweden.

HARVARD MEDICAL SCHOOL PRIMARY CARE REVIEW. (2020, may 29). Retrieved from https://info.primarycare.hms.harvard.edu/review/sexual-education-violence-prevention

NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH . (n.d.). Retrieved from https://test.ncdc.ge/Pages/User/LetterContent.aspx?

Violence Prevention. (2022, june 22). Retrieved from https://www.cdc.gov/violenceprevention/sexualviolence/fastfact.html